



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი



KA990107130704619

№02/17

15 / მარტი / 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე**


საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.






ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N52).

გენერალური დირექტორი



ნიკოლოზ ანთიძე

2019 წლის 15 მარტის
N02/17 ზრმანების
დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		<p>ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია</p>	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ჭალვანი (GPS კოორდინატები: 42 21 22 43 16 24)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XIX – XX საუკუნეები</p>
2.		<p>მღვიმე - „გვარჯილას კლდე“</p>	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო რგანი (GPS კოორდ. 42 20 8.74" 43 14 32.70")</p>	<p>არქეოლოგიური</p>	<p>17 000 -12 000 წწ.</p>
3.		<p>ერისთავების სასახლე</p>	<p>გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარალეთი (ს/კ 66.46.15.078)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>XIX ს-ის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისი</p>
4.		<p>ცილინდრული კომკი</p>	<p>გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქაშეთი (GPS კოორდ. 42 05 31 43 58 14)</p>	<p>არქიტექტურის</p>	<p>1792 წელი</p>
5.		<p>საკულტო ნაგებობა</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბალიჭი GPS კოორდ. X 0447735, Y 4581581</p>	<p>არქეოლოგიური</p>	<p>ძვ. წ. 4-ე ათასწლეულის მიწურული</p>

6.



წმ. გიორგის
სახელობის
ეკლესია

საგარეჯოს
მუნიციპალიტეტი,
სოფ. ხაშმი
GPS კოორდ.
41.760921 45.182616
(ს/კ 55.15.52.518)

არქიტექტურის

XVIII საუკუნე